

კ ვ ა ლ ი



საკოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამომდის ყოველ კვირა ღამეს.

№ 22

ბ ა ი ს ი 25 1897 წ.

№ 22

შინაბრძოლა: ქალაქის არჩევანები გ. წერეთლისა. — წლიური კრება თფილ. თავდაზნაურთა საზ. შეუძლებელ მისწავლეთა შემწეობისთვის. პ. სხვადასხვა ამბები. — გვეჯეს თუ არა ჩვენ საზოგადოება? ე. ვაშაყიძისი. — შიიტების ისტორია. — იმის, ლექსი რუს-იმერლისა. — კრიტიკული შენიშვნები (დასასრული), დ. აღბანელისა. — მეც თან წამოვიყვანეთ, ამავეი მთის ქალისა. — დაკარგული ხელნაწერის გამო. კ. თავართქილაძისი — ასოთ ამწყობლების საყურადღებოთ ვრ-კარ-ლისა. — პასუხათ აკვა-ლისა: ბიბლიოგრაფიულ შენიშვნის ავტორს X ს. აღ. მირიანაშვილისა. — მცირე შენიშვნა მესხი კ. გვარამიძისა.

№ V „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაფურცდა ხელის მიამწერელებს.

ლატარია-ალმზარი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოთ დანიშნულია ღამეს, 25 მაისს, მუშტაილის ბაღში.

ქალაქის არჩევნები.



რეინდელმა არჩევანებმა ერთი შესანიშნავი და საულისხმო მოვლენა წამოაყენა წინ. თუ არ გულდამშვიდებული კაცი, ამ პაწია მოვლენას სხვა ვერ შენიშნავდა. ეს იყო დიდ ქარიშხალს შემდეგ ერთთ-ერთი მზის სხივი, რომელმაც ვაპაო შეინახა დიდი დახვეული ბური და შემოაქუცია იმის ნიშნათ, რომ შავი ღრუბლები მალე გადაყრებოთ ცას და ისეც გამოიდარებოსო. ასეთ სხივით ჩვენ მივჩანია პარტიებათ დაყოფა თვით სომხების მოწინავე დასებისა, რომელნიც არჩევანების წინათ ხანგრძლივით ემზადებოდენ ერთმანეთის საბრძოლოთ. გავილოთ ოთხ წელს თვით ქალაქის საბჭოში ებრძოდა ერთი მეორეს ორი დიდი პარტია: ერთი იყო

ესრეთ წოდებული მდიდართა გროვა, ანუ ქალაქის ძველი საბჭოს პარტია და მეორე ესრეთ წოდებული სომხის ოპოზიცია, ანუ ქალაქის გამგეობისა და იმის მომხრეთა მოწინააღმდეგენი. ოპოზიციის წარმომადგენელი მუდამ კვლავი უღვენ და ამიღებდენ ქალაქის გამგეობას, რომ იგი არ ასრულებს, როგორც რიგიაო, თავის მოვალეობას ქალაქის კეთილ-შეგობარობის წინააღმდეგეთ. ამ ოპოზიციას მუდამ იერიში მიჰქონდა გამგეობაზე და ბოლოს იმდენზე მიიყვანა სომხის მდიდართა პარტია, რომ ქალაქის გამგეობაში არჩევინა გამგეობის წევრებთ ორი თავისი წარმომადგენელი — ეგრემიშვი და თ. არღუთაშვილი. ამითა საბჭოს ოპოზიციამ ცხადთ გამოაქვეყნა თავისი პროგრამა. ის ებრძოდა მთელი ოთხი წელიწადი მდიდართა პარტიას, ანუ პლუტოკრატისა, მხოლოთ ძალისა და გავლენის წასართყევთ. იმას სურდა ტახტიდან ჩამოეგლო ქალაქში გამეფებული სომხის პლუტოკრატია, რომ თვითონ დასკუბებულყო იმის ადგილზე, ხოლო თავს იმითი მართულობა, რომ ჩვენ შორის უფრო ბევრი ახალგაზდები, ვინ



ჭეიწინი და საქმის მცოდნე კაცები გამოინახებინან, ვიღრე განაწეზებულ და გაბატონებულ მდიდართა პარტიას შორის, რომელსაც ქალაქის გამგეობა უფრო იზისთვის უჭირავს ხელში, რომ ქალაქში თავისი საკუთარი ინტერესები ხელრიდან არ გამოეცალკასო. ამ სახით, როგორც სომხის პლუტოკრატია, ისე მისი ოპოზიცია მანინ და მანინც პრინციპიალურათ არ გაირჩევიან ერთმანეთში. ისინი თუ ებრძვიან ერთმანეთს, მხოლოთ უპირატესობის გულისთვის, სურსთ ერთმა პარტიამ მეორე დაამხოს წინაობრივი და ქონებრივი გულენის მოპოვებით. ასეთი მეტოქობა წინაობრივ-ქონებრივი უპირატესობისა საქმაია, რომ ეს ორი პარტია სიკვილი-სიკოცხლით მტერნი იყვენ ერთმანეთისა. განსხვავება იმათ შორის ის არის, რომ სომეხთა პლუტოკრატია, ანუ მდიდართა პარტია, იმდენათ ძლიერია თავისთავათ, რომ მთელი ქალაქის საქმეები ხელში აქვს დაჭერილი. ამ პარტიაში არიან წარმომადგენელნი ბანკებისა და დიდი საეკპოო სახლებისა. ამათ ფულით უჭირავთ ხელში თფილის ქალაქის ეკპოობა და რასაც მოქალაქეებს უბრძანებენ, მზათ არიან აუსრულოან. მეტი რა ღონე აქეთ, რომ არ აუსრულოან. ამათთვის საკმაოა, რომელსამე მოწინააღმდეგე მოქალაქეს ბანკიდან სესხს არ მისცენ და გათვდე; ოც-და-ათხ საათში რომელი მოქალაქეც გინდა აიღე, იმას გააკრებენ. მოდი და ამისთანა ბოძალოდების ყმა ნუ გახდებთ თფილისის ეკპოობა. ამიტომაც შეძლებით გამაყვებული სომხის პლუტოკრატია არ საქპოოებს არჩევანებში მოკავშირეების შეძენას. უმისოთაც ვინც უნდა, იმას გაიყვანს ხმოწნათ. იგი არ ეძებს არჩევანებში სხვა პარტიის დახმარებას და მასთან კავშირის შეკერას. მაგიერთ ოპოზიცია არ არის ისე ძლიერი, როგორც პლუტოკრატის პარტია და ამისთვის საჩიგენაო ბრძოლაში იგი ყოველთვის ეძებს სხვა პარტიებს თავის მოკავშირეებათ, რომ როგორმე თავის მოსისხლე მტერი პლუტოკრატის პარტია დაამარცხოს და იმის ადვილას თფითონ შეიძენს გამგე და მმანებელი თფილისის ქალაქისა.

ამ ორ სომხის პარტიას გარდა არის კიდევ მესამე პარტია, რომელსაც ეწოდება სომხის ახალგაზდა პარტია, რომელიც პრინციპიალურათ ებრძვის როგორც პლუტოკრატის, ისე ოპოზიციას. იმ პარტიას იგი ყოველთვის ეძებს სხვა პარტიებს თავის მოკავშირეებათ, რომ როგორმე თავის მოსისხლე მტერი პლუტოკრატის პარტია დაამარცხოს და იმის ადვილას თფითონ შეიძენს გამგე და მმანებელი თფილისის ქალაქისა.

ეს ახალგაზდა სომხის პარტია თფით ჭეიწხანს თავის მდიდართა პარტიას, რომ იგი განწრახ ადგენსო მტრობას და შერს ქართველებთან; მას უნდაო ამითი მოქალაქეთა ბზოთ უფრო შემიტყვის, შეიკავშიროს და ამ საშუალებით თავისი ინტერესები უკეთ დაიცვას, მეტი ძალა მოიპოვოსო. ეს ახალგაზდათა სომხის პარტია მართლაც ცდილობს ქართველებთან ერთობის და მეზობლური კავშირის დამყარებას, ის კიდევ მეუზაობს, რაც შეუძლია, ქადაგებით სომხის ლიტერატურაში, რომ სომხის ორი მოამხადა ქართველებთან შესაკავშირებლათ. მაგრამ სამწუწნართო ამ ახალგაზდაობის პარტიას ძალა არა აქვს და ჯერ სუსტია, თუმცა ჩვენის აზრით მომავალი ამ პარტიას უნდა ეკუთვნოდეს.

აი, სურათი იმ სომხის კულტურული დასებისა, რომელიც დღეს მოქმედებენ თფილისის ქალაქში. ამათი მოძრაობა მაშინ უფრო თვალსაჩინოთ მხდება, როდესაც ქალაქის არჩევნების დრო დადგება ხოლმე.

დიდი ხანი არ არის, რაც ქართველმა ინტელიგენციამაც გამოიჩინა სიკოცხლე და ინტერესი თფილისის ქალაქის არჩევნებში. სულ არ იქნება ხუთი, ექვსი წელიწადი.

მაგრამ ჩვენ, ქართველებმა, როგორც ჯერ კიდევ უჩვევია და გამოუცდელი მოქალაქობრივ ცხოვრებაში, ვერ გამოვიჩინეთ ვერც საკმაო ნიჭი აკტივტორობისა ქალაქის არჩევნების დროს, ვერც საკმაო გამოცდილება და შორსკამჭერტელობა.

ჩვენმა პარტიემაც გამოფხიწილებამ დავგანახა საშუაბარო მდგომარეობა ქართველების ქონებრივ უძლურებისა. რაც ამ ოც-და-ათი წლის წინათ ქართველ არისტოკრატის მამულები და სახლები ჭკონდა თფილისში, დღეს ყველა ეს მამულები და ქონება იმათ ხელში გადასულა, ვისაც ამ ოც-და-ათი წლის განმავლობაში არ ძინებია, არამედ უშრომია, უხელოანია, უეპობია და ფული მოუგია.

დღეს, როდესაც თვალები გამოვახილეთ და მივისხედ-მოვიხედეთ, განციფრებული დავჩნით. ეს ჩვენი განციფრება და მასთან გულ-ნატკენობა კიდევ გაორკვდა მას შემდეგ, რაც ახალი საქალაქო წესდებულება გამოვიდა, რომლის ძალითაც საქალაქო არჩევანებში ხმა იმას ჭკონდა, ვინც საკმაო ქონების და სახლკარის პატრონი იყო. ახლა ასეთები შექნილიყვენ სომხები.

ქართველები კი მათი შედარებით რიცხვით მეოთხედაც აღარაყინ დარჩა ცენზის მეპატრონენი და ისინიც ნახევრათ ქალაქის გადასახადის შეუტანლობის გამო ცენზ გარეშე დარჩენ.

სხვა ხალხი, უფრო გამოცდილი მოქალაქობრი-

ვით და პოლიტიკურათ, ასეთ გარემოებაში სულ სხვა გზას დადგებოდა; ჩვენ კი ბატონური სიწყაყით თავი გამოვიჩინეთ. მოვეყვით სომხების კიცხვას და წმიდა ეროვნული გრძნობა შევუღაპრეთ. ასეთმა ჩვენმა გამოუცდელმა მოქმედებამ ერთმანეთის მოკიშვად ერთმანეთზე გადამტყრებელი პარტიები კვლავ შეაერთა თვლილსში ქართველების წინააღმდეგ, ამას შემდეგ სებალი იყო, ჩვენ უნდა დავმარცხებულყოფიყვიეთ.

სხვა უფრო განათლებულ მეცნიერებში უფრო გამოცდილი მოქალაქენი სულ სხვა ნაირით მოიქცეოდნენ. ისინი ყველაზე უწინ ჩხუბის ატების მაგიერათ, ეცდებოდნენ დიდი პარტიების ბრძოლით ესარგებლათ და იმათში მეგობრები ეშოვნათ; ისინი დღე ახლოვდებოდნენ და მიუკვლევოდნენ იმ პარტიებს, რომელნიც უფრო მეტ სარგებლობას აღუთქვამდნენ, რომელნიც უფრო მომეტებულ რიცხვს ქართველი კანდიდატებისა გააყვანიებდნენ ხმოსნებათ.

ჩვენ ასე კი არ მოვიქცეთ; ჩვენ ყველა სომხის პარტიებს თანაბრათ გამოვუცხადეთ ბრძოლა და ყველანი გადავიმტყრეთ. მართალია, ჩვენ შევეუერთით რუსების ამომრჩეველებს, მაგრამ აქაც ჩვენი გამოუცდლობა დამტკიცდა. ამბობენ, ვითომც რუსებმა ზე ქართველებმა ერთათ შეაგროვეს ოთხას სამოცი კაცი ამომრჩეველით. ახლა, როგორც გამოჩნდა, ქართველების და რუსების ხმები ერთათ 406 ყოფილა მარტო. ხოლო არჩევანში ყველა მეკენჭეები ერთათ ათას სამოც კაცამდე გამოცხადდნენ, კენჭი კი ათას ასამდის იყო. მაშასადამე სომხებთაგანი შეიდასამდის ყოფილა ამომრჩეველი. ცხადია, რომ ოთხას ექვსი ამომრჩეველი შეიდას კაცს კამათობას ვერ გაუწევდა.

ახლანდელ არჩევანებში ზოგიერთმა სომხის პარტიებმა არ მიიქციეს ყურადღება ქართველების საერთო ლანძღვას და, რადგან იმათ ქართველების დახმარება ეჭირებოდათ, დებუტაცია მიუზღავენეს ქართველებს და თხოვეს, შემოვიერთდითო. მე ეს ნამდვილათ ვიცი, რომ სომხის ოპოზიციამ დებუტაცია მიუზღავნა ქართველებს, ერთათ შევედგინათ კანდიდატების სია, მივიკეთ ხელი ხელს და პლუტოკრატია დავმარცხოთო, ესე იგი დავდილით თქვენი და ჩვენი მოწინააღმდეგე „დღორკოვი ნომრების“ პარტიათა.

ქართველებმა უარი ტკიცეს და პირდაპირ გამოუცხადეს, რომ ჩვენ და რუსები ერთათ ვართო და თქვენ ვეღარ შევიერთდებითო. ამ გარემოებამ სომხების პარტიები, რომელნიც ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვენ, მაშინვე შეაერთა ქართველების და რუსების წინააღმდეგ, რაღა თქვა უნდოდა, სუსტი პარტია რუს-ქართველთა უნდა დამარცხებულიყუა.

წრევანდელ და წარსულ მაგალითებს, მე, მგონია, ქართველები ზედმიწევნით უნდა დაერწმუნებინა, რომ მათი ხერხი ბრძოლისა, რომელსაც ისინი ხმარობენ ვადლიერებულ სომხების წინააღმდეგ, გარდა დამარცხებისა, სხვას ვერაფერს შეძენს. დროა შევიერთოთ, რომ მოქალაქობრივ ბრძოლის ასპარეზზე ძლიერი მტერთან სულ სხვა კულტურული ხერხით სპირა: ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ხოლომე სომხების პარტიული განხეთქილებით და ზოგიერთ იმათ პარტიებთან აუცილებლათ სპირა, შევეკრათ ხოლომე კავშირი. იმედია, მომავალში ასეც მოვიქცევით.

ამ ვაშათ კი მეტი აღარა გეწუობარა, ვინც კი გაციდენ ხმოსნებათ ქართველებთაგანი, უარი აღარ უნდა განაცხადონ ხმოსნობაზე და დამატებითი არჩევნებისთვის წამოაყენონ კიდევ ახალი კანდიდატები. ჩვენ ნამდვილი წყაროებიდან შევიტყვეთ და „ნ.ხ. ინ-პრესის“-მაც იმ აზრით შეინიშნა, რომ სომხებს სასიამოვნოთ არ დარჩენიათო ასე ცოტა ქართველების ამორჩევა პირველ არჩევანში, იმათ ქართველებისთვის წინააღმდეგ მიუტიათ, რომ ერთ იმდენ ქართველებს კიდევ ავარჩევთ ხმოსნებათაო, რამდენიც უკვე არჩეულნი არიანო. მე მგონია, თვლისის ქართველ მცხოვრებთათვის არ იქნება ცუდი, რომ იმათ მომავალ ქალაქის საბჭოში თექვსმეტი ხმოსანი მაინც ჰყავდესთ თვის წარმომადგენლათ.

ბ. წერეთელი.



წლიური კრება თფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა სამოვადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისთვის.



რება დიწყო 12 საათზე 23 მაისს. კრებაზე განიხილეს შემდეგ საკნები: 1) გასული წლის ანგარიში, 2) მიმდინარე 1897 წლის ხარჯთაღრიცხვა, 3) გამვე კომიტეტის მოხსენება ადგილის ყიდვაზე სკოლის ასაგებათ.

1896 წელს სხვა ხარჯთა შორის გამვე კომიტეტს დაუხარჯავს სკოლაზე—47,316 მან. 11 კაპ., სტუდენტებისთვის მიუტია—4,767 მან. 52 კაპ., სკრის მამულზე—1,499 მან. 84 კ. ცოტა კამათს შემდეგ ანგარიში ერთმანთ იქმნა დამტკიცებული. გასულ წელს სკოლა შესამწევათ გადაიდა. რადგან მოსამზადებელ კლასში შესასწავლოთა რიცხვი მეტისმეტათ ბევრი იყო, ამიტომ გასულ წელს კომიტეტმა იმდენი იმეცადინა, რომ მოსამზადებელ კლასებ-

ში ორი განყოფილება გაილა: მესამე და მეოთხე და კიდევ მეხუთე საგიმნაზიო კლასი. ამით, რასაკვირველია, სკოლის ხარჯი გადიდდა; მაგრამ, სამაგიეროთ, ახალგანყოფილებათა და საგიმნაზიო კლასის გაღებაში, პანსიონის გაფართოებამ გამოიწვია შემოსავლის გადიდებაც. სკოლაში დღეს არის 112 პანსიონერი. ამათ შორის 27 მოწაფე იზრდება საზოგადოების სრულ ხარჯზე, 28 მოწაფეს შემოაქვს ორას-ორასი მანეთი (1895 წელს ორას მანეთიანი პანსიონერი იყო მხოლოდ 14), 58 მოწაფე იხდის ას-ას მანეთს, გარედან მოსიარულე არის 296; მათ შორის სწავლის ფული შემოაქვს 165 მოწაფეს. მიუხედავად ამისა სკოლას მაინც არ ჰყოფნის ბანკის მიერ გადაღებული ფული. 1896 წ. შემოსავლიდან 1897 წლისთვის ბანკს შეუძლია მისცეს სკოლას მხოლოდ — 35,243 მ. 54 კ. რაკი სკოლას კიდევ ჭირდება 13,567 მ. 73 კ. და რადან მიმდინარე წლის შემოსავლიდან აღარა შეიძლება რა დახარჯვას წლის ბოლომდის, ამიტომ კრებამ გადაწყვიტა ეს ფული დროებით შემდეგი წესით მოიპოვოს: როგორც ციცი, თავად-აზნაურობა ქარვასლის შემოსავლიდან თან-და-თან იხდის თავის ვალს. აი, ამ შემოსავლიდან სათავად-აზნაურთა კამისამ იმის მაგიერათ, რომ ხვედრი ფული ბანკში შეიტანოს, უნდა ასესხოს იგი სასკოლო კომიტეტს, რომელიც ამ ფულს წლის ბოლოს უკანვე დაუბრუნებს.

მომავალ სექტემბრიდან გაიხსნება მეექვსე გიმნაზიური კლასი. ამიტომ გარდა სხვა ხარჯისა მასწავლებლების ჯამაგირათ და ფიზიკურ კამინეთის დასაარსებლათ დაჭირდება 2,800 მანეთი. სულ 1897 წელს სკოლას დაჭირდება 58,415 მ. 28 კ. აქედან თუ გამოკრძახებთ მოსალოდნელ შემოსავალს, ბანკმა უნდა გადაღვას სკოლის შესანახათ 1897 წლის განმავლობაში 46,882 მ. 59 კ. გამეც კომიტეტს სკოლას გარდა უნდება სტუდენტებისთვის — 768 მ. 68 კ. საქმეების საწარმოებლათ 1,160 მ. — სულ ჭირდება 48,811 მ. 27 კ. წელს კომიტეტმა თითქმის დამთავრა განოვისა და ევლიამიროვის ქუჩაზე ორი ევროპიულათ მოწყობილი სახლი. ეს სახლები წლიურათ მისცემენ საზოგადოებას — 18,300 მ. შემოსავალს. გარდა ამისა საზოგადოებას აქვს მამული სკრა, თუმცა ამ მამულს დიდ-ძალი ვალი ადევს, მაგრამ კომიტეტი დარწმუნებულია, რომ აუცილებლათ საქირთა ამ მამულის შენახვა და მოწყობა მომავალი სამეურნეო სკოლისთვის. ამიტომ კრებამ გადაწყვიტა მიმდინარე ანგარიშების გასასწორებლათ თხოვნის ბანკის კრებას, რომ 1 იანვრამდის ასესხოს სამეურნეო თანხადან 5,261 მ. 17 კ. ბანკის საზოგადო კრებამაც შეიწყნარა ეს თხოვნა.

დღეს სკოლა მოკლებულია თავის შენობას. რასაკვირველია, ჩვეულებრივთ აგებული სახლი სკოლის მოთხოვნილებას ვერ დაქაყოფილებს. ამიტომ კომიტეტმა თხოვა საზოგადო კრებას, რათა მიეცეს მას უფლება შეიძინოს მიწა წყნეთის ქუჩაზე, ან სხვა ადგილს, სადაც კომიტეტი დაინახავს საქირთ შენაფერი შენობის აკაბეტბით. კრებამ ერთხმათ მიიღო კომიტეტის წინადადება.

მ.

სხვა-და-სხვა ამბავი.

აისის 25-ს, შუადღისას, 12 საათზე გაიმართება მუსტიკალში ლატარია-ალგერი ქართველთა შორის წერა-კითხვს გამარჯვებულ საზოგადოების* სასარგებლოთ. ჩვენმა საზოგადოებამ კარვით იცის, რომ ამისთანა ლატარია ყოველ წელს იმართება და „წერა-კითხვის“ საზოგადოებაც თითქმის მით ცოცხლობს და იზრუნებს სულს. იმედია, გულგრილობათ არ მოეკიდება ქართველი საზოგადოება თავის ლეიძლ დაწესებულებას და ახლაც წრფელ თანაგრძნობას გამოუცხადებს ლატარიაზე დასწრებით.

* *

განთეგბი გეატკობინებენ, რომ ამ ზაფხულს კავკასიას ეწევა ფინანსთა მინისტრი ს. ი. ვიტტე.

* *

ამ დღეებში მთავარ-მართებლის საბჭო უნდა შეუდგეს ამიერ კავკასიის გლეხთა მდგომარეობის მოწყობის განხილვას. (გ.ი.ი. 0603.)

* *

1 იენისს, კვირას, მოხდება მეორე კრება ქალაქის ამოხრჩვეელთა, დანარჩენ ხმოსანთა ამოსარჩევათ.

* *

ქალაქის ამოხრჩვეელთა კრებას 18 მაისს დაესწრა 1,049 კაცი, რომელთაგან 50-ს ორი კენჭი ჰქონდა. სულ უნდა შემდგარიყო 1,099 კენჭი. რუსებს 203 ხმა ჰქონდათ, ქართველებს — 203, მამალიანებს — 12, გერმანელებს — 15, პოლონელებს — 24 და სომხებს — 642.

* *

21 მაისს აკურთხეს თფილისის ახალი სამხედრო სობორი. კურთხევის მზავალი ხალხი დაესწრა.

* *

თფილისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორი შუამდგომლობს ბ. მზრუნველთან, რათა ნება მიეცეს ქ. სიღნაღში მუდმეუ სახალხო კითხვების საზოგადოების დაარსებისათვის. (Kაბე.)

* *

თ. ღ. მიქელაძის შვილმა, ივერიკომ, რევოლუციური მოხიველრა მკერდში, გულს ზეით. იმედია მორჩება.

* *

მთავრობამ მოთხოვა ამიერ-კავკასიის საგუბერნიო დაწესებულებებს, შეეცაყოზინეთ რა მდგომარეობაშია ამ ქაშთ ექიმობის საქმე კავკასიაში, სადა რამდენი საეათმყოფოა და თითოში რამდენი საწოლია გამართულია, მთავრობას აზრათ ჰქონია, ამიერ-კავკასიის მხრის სოფლებში გაამრავლოს საეათმყოფოთა და ექიმთა რიცხვი („ივერია“).

* *

ქუთაისში, კვირას, 18 მაისს, წარმოადგინეს ალექსი მესხიშვილის გამგეობით და მონაწილეობით გუტკოვის ტრაგედია „უჩიელ-აკოსტა“. წარმოადგინამ ძლიერ კარგათ ჩაარა, ხალხე დიდ-ძალი დაეცწრა. კარგათ შესარულებს თავიანთი როლები ქ. ჩხეიძისამ, ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილმა, ბალანჩივაძემ და ნემომ. განსაკუთრებით მთელი საზოგადოების ყურადღება მიიქცია ალექსი მესხიშვილის გრძობაერათ გამოჩატულმა სიტუეა-პასუხმა და მოხდენილმა მიხერა-მოხერაჲ. დიდი მადლობის ღირსია ქუთაისლებსაგან ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი, რომელიც კარგა ხანია, რაც ჩვენ მხარეს შემოეყვალა და თვისი ნიჭიერი თამაშით ხალხს აგრძობინა შილოტრის, შექსპირის და მისთანათა უცეადების წყაროდან ვადმონადენი სიტუეები. გამოცხადდება თუ არა თეატრის განცხადება ბ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, ყველა აღტაცებით მიისწრაუვის და თეატრი მთლათ გაიქედება ხოლმე. საყვარელ არტისტს აჯილდოევენ ურიცხვი ტაშის კერით და დაშას ძახილით.

* *

სამშაბათს, 20 მაისს, შედგა თფილისის ბანკის წევრთა წლიური საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნათ თ. ა. ი. მუხრან-ბატონი. შემდეგ კრებას წაუყოთეს ბანკის მართველობის მოხსენება 1896 წლის განმავლობაში ბანკის მოქმედების შესახებ. ანს

მოჰყვა ბანკის ანგარიშის განხილვა. თ. ე. მიქელაძემ შენიშნა: სასურველიაო, რამ ის ფული, რომელიც ბანკისაგან ნაწილ-ნაწილათ, საქიროების დაეწართ, ეძლევა ხარჯათ თფილისის სათავადაზნაურო სკოლას, ერთბაშათ მიეცეს სკოლის გამეკომიტეტსაო. კომიტეტს შეუძლია, ამ ფულის ერთ და ერთ საკრედიტო დაწესებულებაში ბინა მიუწინოს და წელიწადში 800მანათმლის სარგებელი მოაგებინოს. თ. ი. გ. ჰეკეაძემ უპასუხა თ. ე. მიქელაძეს, ეს საგანი ახალია, ანგარიშ არ შეგდება და, წესდების ძალით, ცალკე უნდა იქნეს განხილული საზოგადო კრებაზეო. ამ ათიადე წლის წინათ საზოგადო კრებამ დაადგინა სათავადაზნაურო სკოლას ფული იმ გზით ეძლიოს, როგორც ახლა ეძლევაო. შემდეგ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია კითხვამ მოკლე-ვადიან სესხის ფონდის შესახებ. ზედამხედველი კომიტეტის წევრთა უჩრაველსობისა და ბანკის ვაჭკეობის აზრით, წესდების ძალით არ შეიძლება დაარსდეს მოკლე ვადიან სესხისათვის ცალკე თანხა.

კომიტეტის დანარჩენი წევრნი, აგრეთვე ბ. გ. თარხან-მოურავი დ. თ. სუმბათაშვილი წინააღმდეგ აზრს ადგენენ. ბოლოს, თ. ი. ჰეკეაძის რჩევით, კრებამ გადასწყვიტა, მიმართოს საკრედიტო კანცელარიას ამ სპეკიალურ საგნის ასახსნულათ.

მეორე დღეს კრებას მოხსენდა ღმბტიცდა უკამათით 1897 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. შემდეგ განხილულ იქნა შემდეგი საგანი: გაიცეს თუ არა გძელ ვადაიანი სესხი ეენახების გიროათ. ეენახი ჩვენში სამიედო, კარგი სარგებლის მომცემი ქონებაა, მის გიროათ კი ბანიკი დღემდის შესაუერ სესხს ეერ აძლევს მუპატრანეთ; უნდა ეეცადოთ, მოვიპოეოთ ნება ეენახების გიროათ გძელვადიანი სესხის გაცემისათ. კრებამ გადასწყვიტა: ბანკის მართველობა დაეკითხოს ფინანსთა სამინისტროს იმის შესახებ, თუ რა გეერთა მოეწყოს ამ სესხის გაცემის საქმე; მართველობამ უნდა შეამუშაოს ამ საგანზე დაწერილებითი პროექტი და მოაშველ საზოგადო კრებას წარუდგინოს განსახილველათ.

საზოგადო საქიროებისათვის დანიშნული თანხის განაწილება განიხილა კრებამ და დადგინა, თანხმად ბანკის მართველობისა და ზედამხედველი კომიტეტისა, 1,000 მ., დრამატიული საზოგადოებისათვის გადადებული, არ უნდა მიეცეს მას, სანამ მართველობა არ განიხილავს თ. ერისთავის არხას, რომელსაც 1896 წ. საზოგადო კრებამ ათასი მანათი ვადაუწყეიტა, მისგან გამოგონილმა წყლის შანქანის ვსაუმჯობესებულათ. შემდეგ კრებამ უარჰყო ბანკის მსესხებულთა წინადადება იმ სარგებლის შემკირების შესახებ, რომელსაც დაგირაებულ ქონების პატრანები იხდიან ბანკის მართვა-გამეკობის ხარჯათ. წინანდელზე

ექესი ათასი თუმნით ნაკლებია. ბანკის კრებამ უარყო აკრეთვე დამუშავებელთა წინადადება სხვა-და-სხვა საღაეთების შესახებ.



გვყავს თუ არა ჩვენ საზოგადოება?

(ა. გ. მაიაშვილის წერილის გამო. *)

მს აუარებელი თავაღ-აზნაურობა, რომელიც დღეს 5/6 მანკი შეადგენს მთელი ერისას, არის შთამომავლობა იმ მხედრებისა, რომლებსაც დროთა ვითარების გამო ომის მეტი არა ეღარდებოდათ. ეს ომის წყურვილი ბუნების კანონის წყალობით ისე უნდა გაყენებულიყო მომავალ თაობაში, რომ არა ერთი საუკუნე უნდა დაქირდეს მას, რათა ეს წყურვილი სხვა სასიკადალო ძალათ გადაიქმნას, მით უმეტეს რომ ეს ომის წყურვილი როდი იყო მუდამ წმიდა, სასიკადალო მისწრაფებით გამოწვეული, ხშირათ ქართველს ქართველის სისხლი წყურვდა, აი, ეს გარემოება უფრო აძინებდა ქართველ თავაღ-აზნაურობა ომის წყურვილის გადაქმნას სხვა რამე ერისათვის სასიკადალო ძალათ. ერთ პირობას შევძელი ქართველ თავაღ-აზნაურობის მოქცევა ნამდვილ ნიდაგზე: სწავლა განათლებას. 1) სწავლა-განათლების მიღება საედაგოგო მეცნიერების შესაფერათ, თვისი ხასიათის გადაკეთება, გადაქმნა, მსჯელობის და თვით-მოაქმედების შესისხლ ხორცება,

*) ის. რეკლამა № 21.

1) შემოსუნებულ გარემოებას ისეთი გავლენა ქონდა თავაღ-აზნაურობაზე, რომ მან კერ გამოიყენა სწავლის მისაღება შედარებით უფრო აკრიზირებულად. უწინ თავაღ-აზნაურობას ქონებაც უწყობდა სულს და მთავრობის დასმარებაც. ახლ-აჟსადგომულმა სამეფადლოებამ კი-დეგვც გაასწრო მას, თუმც ბევრი სასიფთო დასვდა გზაზე; მაგ. ქონებრივი სიდატეკე, საკუთარი საწრეთი სასწავლებლების გასხნა. ამ მხრით საკულისხმობა ბ. ჩარუჭაშვილის სტატა საერო განათლების შესახებ ქუთაისის გუბერნიამ („მომადე“ 1895 წ. № XI). სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, რომ პირველი ადგილი სწავლა-განათლებაში უჭირავს სასულიერო წოდებას (8, 45), შემდეგ სამოქალაქო წოდებას (5, 81) და შესაბამისად თავაღ-აზნაურობას (4, 88), ეს პიროგნტი გამოანგარებულადაა წოდების რაოდენობის დასჯენით. შედარებით იაკე მოკლებს არის თვითღისის გუბერნიამ. აქ შედარებით უფრო სასიფთოა წოდება არის ძლიერ დაქვეითებული, ვინც იაკევი წოდებას ქუთაისის გუბერნიამ.

როგორც ვთქვით, არის ცოტათი მაინც ადამიანის ხელთ, მაგრამ ამას დრო და ხელშემწყობი პირობები უნდა. ჩვენში კი არა, განათლებულ ევროპაში-აც კი სწავლა-განათლებას ორი პირი აქვს: ერთი არის ცრუ განათლება, რომელსაც გული თვითან ვერ დაუხლოვებია, მეორე ნამდვილი სწავლა-განათლება, რომელიც არის გულით გამოზნარი და მცირე სიმძლავრით და სიმართლით აშვენიერებს ადამიანის ბუნებას. ეს ნამდვილი სწავლა ისე გარემოცულია შარავანდითთ, ისე აღსაცხვა სიწმინდით, რომ მოუსპეტ ამ გვარ სწავლით აღჭურვილ კაცს ეკლესია, სარწმუნოება, ის მაინც ეკლესიის მორწმუნეა, სარწმუნოებით აღსავსეა. ამ ნამდვილმა სწავლამ არამც თუ დაშორა განვითარებულ ადამიანს სარწმუნოება (რელიგია), ეს საუკეთესო მზარე ადამიანის სულიერი ცხოვრებისა, უფრო შეაყვარა სარწმუნოება. მეცნიერების სიმართლემ, სიწმინდემ დაიხლოვა და შეირიგა რელიგია; მეცნიერება გახდა თვით რელიგიის საუკეთესო მფარველათ. დილა, მეცნიერება დიდალა, მისთვის ბერნი არიან მოწოდებულნი, მაგრამ მეცნიერების მყარდს შეფარებულნი კი ცოტანი. მისა მიღების და გამოცნობისთვის არის საჭირო მხურავულ გული და გულწრფელი გრძობა, არის საჭირო მანგილი და შთაბეჭდილებიანი გრძობა, ამ პირობებს ქმნიან მხოლოთ კარგი პირობანი, დრო და თვით ადამიანის მხურავულ სტრეილი კეთილი და საქმიანი ცხოვრებისა, არ ჰქონდა ჩვენ თავაღ აზნაურობას ეს კარგი პირობები, ერთ მხრივი იყო ჩვენი ცხოვრება და როდესაც ახალმა პირობებმა თავაღ-აზნაურობას ძველი ერთ-მხრივი ცხოვრების შეცვლა დაევალი, ის პირ-დღებელი დარჩა. შექმნა ახალი დედა აზრისა, ისეთი სულის და ხორცის მდგომარეობისა, რომელიც საჭიროა ყოველი სალი ადამიანისათვის, ცოტა დროს განმავლობაში შეუძლებელი იყო. შეყოყმანდენ სხვა-და-სხვა ევარი მისწრაფებანი, ვერ მოხდა შთანხმება და შესისხლბორცება მათ შორის; ვერ მოხდა მისთვის, რომ წარსულს არ მოუმზადებია ნიდაგი ამ შთანხმებისა, თანასწორობის შესაქმნელათ. და ამისათვის შექმნა ჩვენი ცხოვრება ქარიშხალით სავსე. ქარიშხალი კი სტიქიური ბუნების წარმონაშობია; ის ვანუითხავათ ამსხერგეს ყოველ სასარგებლოს და უსარგებლოს. ამ მოსაზრებას თუ მივიღებთ მხედველობაში, დიდი გარჩევა არ უნდა იყოს თვითღისის და ქუთაისის თავაღ-აზნაურობა შორის. თუ ცოტა გარჩევა არის, ეს გარჩევა გადამეტებული ფიც ტემპერამენტს შეიცავს, რომელიც ქუთაისის ელემენტის მტკბარელებში საზოგადოთ გადამეტებულია. სხვა მხრივ კი არ არის ძლიერ შესაძინევი გარჩევა მათ შორის. თვითღისის ბანკის საქმე-

ების რიგინათ წაყენა არის შედეგი იმ პირობებისა, რომლებშიაც იმყოფება თვლისი. რაოდენიმე ნაწილი მიეწერება იმ პირების ღირსებასაც, რომლებიც განაგებენ ბანკის საქმეებს. მაგრამ ეს პირები დღეს არიან და ხვალ არა. არაჲ თუ ქ. ბანკის გაჯირყებულ მდგომარეობას, ბერიც სხვა საზოგადო საქმის გაქარწყლებას უნდა მოეყოლოდეთ, თუ არ შეიცვალა გონებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა ჩვენი ხალხის მოწინავე ნაწილისა. ამისათვის არის საჭირო შეგნება საზოგადო ინტერესებისა, როგორც თავისი საკუთარი საქმისა; ამისათვის საჭიროა წინამხედველი ჰქუა და ცუდი ენებთა შებოჭვა. თუ ზემოხსენებული პირობები არ გვექნა, არ გვექნა დედა აზრი, რომელიც უნდა განაგებდეს ყოველ ჩვენ მოქმედებას, აზრს საზოგადო საქმისადმი მიმართულს, ამათა ჩვენი იმედო, ამათა ჩვენი ცხოვრება. რას უნდა მოველოდეთ ჩვენი ჩვენი მეკენჭებისაგან, რომლებმაც აეკარგა აზრის არა იცინარა, როდესაც ევრეთ წოდებულნი ინტელიგენტებიც კი უგულოთ ეკიდებიან გუწურელობას და მსჯელობის სიმტკიცეს. ბევრჯერ მინახავს ჩვენ ახალგაზღვრაში, იმ საუკეთესო სტუდენტურ ღროსაც კი, რომდესაც საზოგადოთ ახალგაზღვრა სმიართლის მოტრფილავს, რომ მსჯელობაში ერთხმით აღუარებიათ ახალგაზღვრებს რომელიმე აზრი, მაგრამ ეკნებით კი სხვებზე გადაუწყვეტიათ. ამ მხრით ჩვენი ახალგაზღვრაც კი მხრით იმ ბრბოს გაეს, რომელიც დიდი სისრულით დაგვიხატა ბ. შაიშვილი. ამ გარემოებაშია ჩვენი არა სასიამოვნო მდგომარეობა. ჩვენი ცხოვრება ჯერ-ჯერობით რაღაც განურყვეველ სამყაროს წარმოადგენს. ჩვენმა ჯერ-ჯერობით არ გაცალკეებულა საზოგადოება ბრბო. საგან, ჯერ არ მომადარა, შეება საზოგადოებისა, ჩვენში რომ არსებობდეს შეგნებულ საზოგადოება, ბრბოს უკვე დაეკარგებოდა თვისი მნიშვნელობა, უკუღმართი მოქმედება. როდესაც ჩნდება საზოგადოება, რომელსაც შეუფრია საზოგადო ინტერესები, ბრბოს მაერ მოქმედებას ნიადაგი ეცლებს. თვით საზოგადოება ექვემდებარება საუკეთესო წყევების მოსაზრებას და მოქმედებას. ბრბოს მოქმედება პასიურია, ის მიღებს მას, ვინც საზოგადოების წარმომადგენელია. ბრბო არის მხოლოდ თვისიკური ძალა, რომელიც მოკლებულია შეგნებულ თვითმოქმედებას. როდესაც საზოგადოების საუკეთესო წყევებმა შეადგინეს გეგმა თვისი მოქმედებისა, რომელიც აკურთხა საზოგადოებრივმა აზრმა, მაშინ ბრბოც შეუგნებლათ ემორჩილება საზოგადოებისაგან მოწოდებულ აზრს და მოქმედებას. ბრბოს ფსიხოლოგია, რომელიც უკუტათ მაინც გამოირკვა ამ ბოლო ხანს, ცხადთ კვე-

უბნება, რომ ბრბო ცხოვრებს მიბადებით. 2) ბრბომ რომ აღმიაწურა გზაზე იაროს, მისთვის არის საჭირო რიგინი მავალითება. მავალითები სად უნდა ეძებოს მან, თუ არა საზოგადოებაში და თუ საზოგადოება არ არსებობს, ან შემდგარ საზოგადოებაში არ დამყარებულა თვისი არსებობის პირობების ცოდნა, საზოგადო ინტერესების შეგნება, რა ქნას ბრბომ; ის ისეც ცუდ მავალითებს ეტანება, როგორც ბავში, რომლისათვის სახიფათო მდგომარეობანი და ხშირათ ბიწერება უფრო მიმზიდველნი არიან, ვინამ რიგინი მისწრაფებანი. ხშირათ ბრბოშიაც მოიპოვებიან კარგი მზარერი, გულწრფელობა და სხვა ამგვარი თვისებანი, მაგრამ ამ თვისებების გამოყენებისათვის არის საჭირო სახელმძღვანელო აზრი, რომელიც საზოგადოებაში და მის საუკეთესო წარმომადგენლებში უნდა იყოს. ჩვენი უბედურებაც იმაში მდგომარეობს, რომ არ გვაყავს საზოგადოება, არ გვაქვს საზოგადოებრივი აზრი, არ გვაქვს მისთვის, რომ ჯერ ჩვენი ცხოვრება სიბნელით გავრემოცულია, არუღლია ბრბო და მომავალი საზოგადოება. რაკი სხვა-და-სხვა პირობების გამო არ გავგენია ჯერ საზოგადოება, რა ქნას ორმა-სამმა პირმა, რომლებიც თურდაც ძლიერ თვალსაჩინო შეილებიც იყენ ანლათ დაბადებული და ამისათვის ჯერ ფეს აღდამევი საზოგადოებისა. დიად, საუბედუროთ ჯერ-ჯერობით ჩვენში ვერ ვაზრჩე ბრბოს საზოგადოებისაგან, ჯერ-ჯერობით არ გაჩაღებულა ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრება, თვინა მაშინ ბრბოც ვადასაყრელი ნავთი როდი შეიქმნებოდა; ის საქმისათვის გამოსაყენებელიც დარჩებოდა. საზოგადოება არ გვაყავს მისთვის, რომ ჯერ არ გავგენინა მისთვის საჭირო ელემენტები. 3) წარსულს ვერ შეუქნია, როგორც კერძო პირებში, ისე მთელ ერში ის ფიზიკური და სულიერი თანასწორობა, რომელიც დიდ მნიშვნელობაშია აჩამც თუ კაცობრივობის სოციალური ცხოვრებაში, მთელ ოკეანულ ცხოვრებაშიაც კი. ჩვენი ცხოვრების არა სანატრელი პირობების შესაცვლელათ დიდი ეწერვის დახარჯვა არის საჭირო, მით უფრო, რომ ახალმა დრომ შექმნა მრავალნი პირობანი, რომელნიც არ უწყობენ ხელს ხალხის ნორმალურ ზდას. ამ არა სასიამოვნო

2) ორი ფაქტორი ამომავალს ბრბოს: მისამკა და შთავსება.

3) შთავსება და მათანსება, რომ მარტო სახმოდლეკლათ და თავის თავის მტრისაგან მოსაგებებლათ შემდგარ ვეფუეს ვეფუე ეწოდება და ან საზოგადოება. ამ გვანი მისხისათვის შემდგარი ვეფუე მრავალ ცხოველებსაც ჰქავს. შე ვეფუდისსებუ საზოგადოებას, როგორც საუკეთესო კულტურულ ცხოვრების წარმომადგენელს.

მოეღწინის მოსასპობლათ არის საჭირო თვით არსებობის პირობების ცოდნა, საჭიროა, რომ უმრავლესობას მაინც შეეძლოს თვისი ენებათა შებოჭვა. ამისათვის აუცილებელია ნამდვილი სწავლა-განათლება, ნების გამტკიცება, შეთვისება სახელმძღვანელო იდე-

ათა, რომელნიც გამოიწვევენ კერძო პირის და საზოგადოების სულიერ თანასწორობას, მაგრამ ამას უნდა დიდი დრო და მთელ აკებულობაში მტკიცეთ გამჯდარი სიკეთის სურვილი.

ე. ვაშაგია.




შაკ კუსინის დღეობა.

შიიტების ისტორია.

ქოველ ზოუხულობით სპარსელები იხდიან ჰუსეინის დღესასწაულს, რომელსაც ჰქვია „შახსეი-ვახსეი“, ესე იგი „შახ-ჰუსეინო, ვაი, ჩვენ, ჰუსეინო“ ყველამ იცის, რომ მაჰმადიანები თავის წინასწარმეტყველის სიკვდილს შემდეგ ორათ გაიყვენ. ერთი ალიარებად სუნნას, ესე იგი ყორანს გარდა კიდევ მაჰმადის დედისგან ზვირ ვაძმონაცემ მცნებებს, ერთამც მისი შვილისაგან გავონილებს და დახსოვბულებს. ამ პარტიის მეთაურათ განბა მაჰმადის დედა აეშა. მეორე პარტიას თვით მაჰმადის სიძე ალი თაოხანობდა და უარს ჰყოფდა მაჰმადის დედის ზვირ გადმოცემებს. ის მტკიცეთ იღვა ყორანის მცნებაზე და ამტკიცებდა, რომ გარდა ამ წმიდა წერილისა, სხვა ზვირ-გადმოცემები, ყოველივე მოგონილია და მაჰმადის სარწმუნოება ვერ შეიწყურებლს, აღის მიმდევარებს დაერქვათ შიიტები. ამ სახით ალის მიმდევარნი, აწ შიიტელები, არიან სპარსელები; ხალხი სუნნები ოსმალები.

აეშას საშინლათ ძულდა ალი და, მაჰმადი რომ მიიცივლა, ალის მაგიერათ აბუ-ბექტირი აარჩევიან ხალიფათ, მერე ომარი და ომარს შემდეგ ოსმანი. წყნარი ხასიათის პატრონი ალი მოვირდა სისხლისღვრას და ქალაქ მედინიდან გადასახლდა სპარსეთში. მან აირჩია თავის სატახტო ქალაქათ კუფა. მი.მა მომხრეებმა, მოთმინებიდან გამოუყანილებმა ოსმან ხალიფის დეერულეებით, იხელთეს დრო, თავს დაესხენ ოსმანს და მოკლეს. მაშინ სასტაკო ხასიათის პატრონმა აეშამ მოუწოდა ასურეთის მთავარ-მართებელს მოაიყოს და სახელგანთქმულ მხედართ-მთავარს ამრუსს, რომ ალი დამარცხებინათ და შიიტის სარწმუნოების აღმსარებელი მოესაოთ, მაგრამ მხენ ალიმ ყოველ ბოძოლაში დააპარცხა თავის მტრები და დამორჩილა ისინი. რაკი ძალით ვერა უყვესრა, ვერაგობით დაესხენ თავზე ბოროტვანმხრახველები და ხანჯლებით დაკვებს. ალის დარჩა ორი შვილი ჰასანი და ჰუსეინი. სპარსელებმა უფროსი გამოაცხადეს ხალიფათ. მაგრამ ჰასანამ უარი თქვა და წავიდა მედინაში, სადაც რვი აეშას კაცებმა მოწამლეს; მაშინ ჰუსეინი დიბარეს მექის ქალაქიდან კუფაში. ცხაზე ჰუსეინის და მის ხლებულებს ჰქონდათ ერთი დიდი უწყული უდაბნო გადასავლელი. დაღლულები ჩამოხდენ ცხენებიდან მოსასვენებლათ. ამდროს უცრათ მათ დაცვა მოაიყოს მიერ გავაჟენილი მდევარი ვჯარი და სულ ერთიანათ დახოცა ისინი. ჰუსეინი ლუკმა ლუკმა აქციეს. ამას შემდეგ იგი სპარსელებმა ჩარიტებს წმიდა მოწამეთ და დღე მისი მოკლისა დღესასწაულათ დადეს. მას აქეთ ყოველგან იკრიბებიან

მრავალი სპარსელი მოლოცვლები ამ დღეობაზე, და მეს ათევენ მენტებში (სამოლოცველობში) და მეორე დღეს ახდენენ ლიტანიას. ამ ლიტანიის დროს ყოველი სპარსელი წელამდის ვატიტელებულია, ტირის ხმა მაღლა, იცემს თავზე და ტანზე იარაღს, უხვთ ჩამოჰქექუს სისხლი ათასნაირი ჭრილობიდან და იძახის „შახსეი ვახსეიო“, (ვაიმე ჰუსეინო, ვაიმეო!). ერთი აქ დახატული ნახატოვანი წარმოადგენს აშანირ აშავს მერვის ქალაქში.



ი მ ა ს.



ინდა რომ შეღწახთ ვინაზრო
 რკმლები წუძე მდუღარე,
 კაღბით ისარი, რომლითაც
 გამომიყ გულა შუქსარე.

მას ვაჟიშვინო, რაც შენგნით
 ტანჯვა, წამება, მინახეს
 და შეხი სიყვარულის რქქეს
 დღემდის ფარულთ მინახეს.

მინდა, რომ გადავკეთო
 ამ გულის წულუღა შიირათ
 და მითი გონიბობის სიამეში
 გიქუერო ათას-ნაირათ.


იქნება შემიარაღებდი
 მამინ შე შენთვის სხუელს,
 შენგან დარჩენულს, ანცა შეკადრს,
 აღარც ცოტალებში რქულს.

მინდა, რომ შენთან ახლო შეიკავი
 შუკიდეს მე რურფა თფალები,
 მათ რომ სასმილათ სეკუბოდენ
 გულს მათი ნაჰყრწყალები.

მაგრამ მისი დიხს ვინ გამხდის!
 შე განა ბუნდიანი ვარ?
 ეს აზრი წამდვას სიფიცხაეს:
 რა შენი შესაფერა ვარ!

მამ რაღათ უნდა გამოიყავა
 გონიბობა რომელსაც ვყვარებდი,
 ვიპას ამ სასუკლოთ მივადე
 ტვინთ მისეუ გუპას ვარდადი!

რუს იქუელი.



კრიტიკული შენიშვნები.)

(მოსკვის გველეხი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, შუდუნადი იაკობ გოგებაშვილის მიერ, ოც-და-სუთი სურათით, თბილისი 1896 წ.).

